ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N15

17.11.2022 წელი
14:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 17 ნოემბერს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი) და **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **გოგი ჩიქოვანი** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032231961-03,15.11.2022წ.);*
   მომხსენებელი - **გაიოზ თალაკვაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტი, კომისიას მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, მოგეხსენებათ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 438 775,2 ათასი ლარით. რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 305 418,2 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 133 357,0 ათასი

ლარით, რაც განპირობებულია ძირითადად დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავლებით, რომელმაც შეადგენს 588 867,6 ათას ლარი, საწარმოთა ქონებაზე გადასახადით 208 000,0 ათასი ლარი და ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადით 26 000,0 ათასი ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი ჯერ არ ასახულა, საუბარია 270 000,0 ათას ლარზე, აღნიშნული მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას. ბიუჯეტის პირველად ვერსიაში ყველა პრიორიტეტი შენარჩუნებულია, მათ შორის კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა განისაზღვრა 43 031,4 ათასი ლარით, ბიუჯეტის ზრდა ფაქტობრივად ტრანსპორტის მიმართულების განვითარებას მოხმარდება, წარმოდგენილ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია ყველა მიმდინარე პროექტი და პროგრამა, შესაბამისად სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით ასახულია გარდამავალი პროექტები და პროგრამები.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - წარმოდგენილ 2023 წლის ბიუჯეტის პირველად ვერსიაში მატება გახლავთ 133 000,0 ათას ლარზე მეტი. სპორტის და ახალგაზრდული მიმართულებით ყველა მიმდინარე მნიშვნელოვანი პროექტი და პროგრამა შენარჩუნებულია, ასევე ასახულია ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების, აღჭურვის და მოწყობის სახსრები. ველოდებით დეკემბერში ბიუჯეტის განახლებულ ვარიანტში კონკრეტული პროგრამების ზრდას.

გივი ჩხარტიშვილი - ჩემი პოზიციაა, რომ 2023 წლის ბიუჯეტში უნდა გამოინახოს თანხები, რაც მოხმარდება დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებას. ასევე მაინტერესებს მუხიანში ,,ხვამლის სარაგბო ბაზაზე" რეაბილიტაცია რომელ ნაწილს მოიცავს.

ავთანდილ ცინცაძე - მნიშვნელოვანია სოფელ დიღომში მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნებული სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რადგან ადგილობრივ ახალგაზრდებს ფიზიკურად არ აქვთ ხელმისაწვდომი სპორტული სივრცე.

გაიოზ თალაკვაძე - სამინისტროს ტრანსფერის ასახვის შედეგად აუცილებლად მოხდება ახალი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების გათვალისწინება, მათ შორის დიღმის მასივში სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია. რაც შეეხება სოფელ დიღომს, მიმდინარეობს გარკვეული მოლაპარაკებები დაბრუნებულ სპორტულ ინფრასტრუქტურაზე, განიხილება ცენტრალური ხელისუფლების მიერ აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობის შესაძლებლობა, სამუშაო პროცესი უახლოეს პერიოდში დასრულდება და ყველა ინფორმაციას გაცნობებთ. რაც შეეხება მუხიანის სარაგბო სტადიონს რეაბილიტაცია შეეხება სტადიონის საფარს, სველ წერტილებს, გახმოვანების სისტემას, ტაბლოს მოწყობას და სხვა სივრცეებს.

გოგი ჩიქოვანი - სპორტის ნაწილში ყველა გარდამავალი პროგრამა გათვალისწინებულია, როგორც ახალი პროგრამა ,,სპორტი უფროსი თაობისთვის", ასევე სპორტული ინფრასტრუქტურის დასრულების, აღჭურვის და ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხები. რაც შეეხება ახალგაზრდობის ნაწილში დარჩენილ ვალდებულებებს, როგორიცაა სამგორის ახალგაზრდული სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება ასევე გათვალისწინებულია. ზრდა გვაქვს სტუდენტთა დაფინანსების მიმართულებით, რადგან მოთხოვნა გაიზარდა, დაფინანსების წესში

შშმ და მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსის მქონე სტუდენტთა დამატების შედეგად. ყველა მიმდინარე პროგრამა შენარჩუნებულია. ვმუშაობთ ახალი ინფრასტრუქტურული პროექტის საპროექტო დოკუმენტაციის შემენაზე, მათ შორის ისნის რაიონში ახალგაზრდული სახლის პროექტზე. იგეგმება გლდანის საცურაო აუზის რეაბილიტაციას. გლდანის და ნაძალადევის გარდა სხვა რაიონებში მზარდი მოთხოვნაა პროგრამაზე ,,სპორტი უფროსი თაობისთვის", ვფიქრობთ მულტიფუნქციური ცენტრების გახსნის შემდეგ ისინიც ჩაერთვებიან აღნიშნულ პროგრამაში. გაზრდილია მომართვიანობა ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამაზე (კოდი 08 08 01), რაც გასათვალისწინებელი იქნება 2023 წლის ბიუჯეტში.

გიორგი ჩაკვეტაძე - კომისიას, სხდომაზე გამოთქმული რეკომენდაციების შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის გადამუშავებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას დამატებითი სახსრები რაც მოხმარდება შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას, მათ შორის: სპორტული ღონისძიებების (კოდი 08.06.01) ქვეპროგრამა, სამსახურს დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ების ხელშეწყობას; სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კოდი 08.06.03) ქვეპროგრამა, სხვადასხვა ლოკაციაზე დამატებითი სკეიტ-პარკების მოსაწყობას; ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და მშენებლობის (კოდი 08.06.04) ქვეპროგრამა, ქ. თბილისში, დიდ დიღომში, სკოლა ,,ფესვების" მიმდებარედ და ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების, ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის და სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის აღჭურვას; ასევე ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" სტრუქტურული ერთეულის, სოფელ დიღომში მდებარე კომპლექსის რეაბილიტაციას და დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების დაწყებას;

ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის (კოდი 08.08.01) ქვეპროგრამისთვის, დაბა კოჯორში მულტიფუნქციური ახალგაზრდული სოფლის მშენებლობის დაწყებას; ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობას; მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებების მხარდაჭერას; მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის აღჭურვას; მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ჩუღურეთის და ისნის ფილიალების რეაბილიტაციას;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიის დასკვნა შენიშვნებით და რეკომენდაციებით ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის 2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 72-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად გადაეგზავნოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას შემდგომი რეაგირებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე